ცვლილებები განხორციელდა გეოგლობალ აკადემიის
დირექტორის 2025 წლის 25 წლის N15548 ბრძანებით

დანართი 11

შპს გეოგლობალ აკადემია
პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესები დაცვის მექანიზმები

მარნეული
2022

შპს „გეოგლობალ აკადემია“ (შემდგომში - აკადემია) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას მთელი რიგი შიდა მექანიზმების გამოყენებით. სტუდენტების უფლებები განსაზღვრულია

„პროფესიულიგანათლებისშესახებ“ საქართველოს კანონით, აკადემიის დებულებით, სასწავლო პროცესის მართვის დებულებით, აკადემიის დირექტორის სოციალურად მოწყვლადი პროფესიული სტუდენტების კატეგორიის განსაზღვრის შესახებ ბრძანებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით, პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით.

პროფესიული სტუდენტი აკადემიასთან ხელშეკრულების გაფორმებისას ეცნობა თავის უფლებებს. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლები სტუდენტებს აწვდიან შესაბამის ინფორმაციას. სტუდენტები იღებენ განმარტებებს ხელშეკრულების თაობაზე, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტისა და აკადემიის უფლება-მოვალეობები.

სტუდენტებს უფლება აქვთ ჩამოაყალიბონ სტუდენტური გაერთიანება და სტუდენტთა უფლებების დაცვის მიზნით შეიმუშაონ და წარუდგინონ აკადემიის დირექტორს კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები აკადემიაში მმართველობის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

სტუდენტს უფლება აქვს: მიიღოს ხარისხიანი განათლება; აკადემიის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვასაშუალებებით; თავისუფლად დააფუძნოს ან/დაგაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად; თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას; მიიღოს ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები; აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა; მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში; პერიოდულად მოახდინოს აკადემიაში მიმდინარე პროცესების შეფასება; განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილება.

აკადემია უზრუნველყოფს სტუდენტების კანონიერი ინტერესების დაცვას, სტუდენტის განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის კონსტიტუციური უფლების, ასევე სხვა ამ უფლებასთან დაკავშირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. აკადემიის მიზანია სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, შეზღუდვის ფაქტების გამოვლენა, ამგვარ ფაქტებზე რეაგირებად შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის სარეკომენდაციო წინადადებების წარდგენა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და სრულფასოვნად განხორციელების უზრუნველსაყოფად, სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, შეზღუდვის ფაქტებთან დაკავშირებით წარმოქმნილ კონფლიქტურ ურთიერთობებში მხარეებს ურთიერთობების მოწესრიგება. ნებისმიერ სტუდენტს აქვს უფლება დაუკავშირდეს დირექტორს პრობლემების მოსაგვარებლად პირადად ან ელექტრონული ფორმით.

სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „ეთიკის კოდექსით“,სამართლიანი პროცედურის გზით. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს

საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, აკადემიის საკუთრების და უსაფრთხოების დაცვას. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს აკადემიის დირექტორი. სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას.

დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს: წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ; დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით; მიაწოდოს აკადემიის შესაბამის სტრუქტურას თავის ხელთ არსებული ინფორმაცია დამტკიცებულებები; მონაწილეობა მიიღოს აკადემიის შესაბამისი სტრუქტურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში; მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯაროს ხდომაზე.

დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და აკადემიის მიერ დადგენილი წესების დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებებს. სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს აკადემიის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.